

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

17.10.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: –გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარბეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, რობიზონ ფუტკარაძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხს./ივანე მამფორია/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.”

მომხს./ზვიად კაპანაძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 32.5 კვმ 14.3 კვმ ფართების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე”

მომხს./ზვიად კაპანაძე/

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29.376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1.5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს./ ზვიად კაპანაძე/

5.სხვადასხვა

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა შემდეგმა ფაქტმა. 2018 წლის 18 იანვრის N 136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და ამხანაგობა „ნიუ გრუფს“ შორის გაფორმდა N 197 ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობის შესაბამისად საბანკო გარანტიის საფუძველზე შემსრულებელს წინასწარი ანგარიშსწორებით ჩაერიცხა თანხა.

შემსრულებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შესაბამისად მ/წლის 14 ოქტომბერს ვანის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის საფუძველზე სს სადაზღვეო კომპანია ალფას-ს მიერ ჩარიცხულია 124183 ლარი. ამ თანხით იზრდება პროგრამა „გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(დანართი: დადგენილება N 23).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია იუსტიციის სახლი. ეს მიწა იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ამჟამად უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს - საკუთრებაში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.“

(დანართი: განკარგულება N 27 42)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 32.5 კვმ 14.3 კვმ ფართების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

ამ საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა გიორგი ივანიაძემ. მან თხოვა საკრებულოს წევრებს, დაეჭირათ მხარი და 32,5 კვმ ფართის გასხვისება ჯერჯერობით შეჩერდეს და აუქციონზე გავიდეს ორი ფართი 14.5კვმ და 14.3 კვმ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 14.3 კვმ ფართების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

(განკარგულება N 27 44)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29.376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1,5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არის დაინტერესებული პირი ამ ფართის იჯარით აღებაზე და შესაბამისად გადაწყვიტეს ამ ფართის აუქციონზე გატანა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29.376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1.5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

„სხვადასხვაში“ რაიმე წინადადებები არ გამოთქმულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე